პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 18 (18560) შაბათი, 22 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

926 ათასი მანეთის მოგება

მახარაძე. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). წარმატებას მიაღწიეს „საქსახსოფლტექნიკის“ მგშვიდე საქვირითო ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი თ. გოგეშვილი) მუშაკებმა, მოწინავე ტრანსპორტელებმა ჩინებული შედეგებით დაამთავრეს გასული წელი. მათ ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, გადამტებით გადაზიდეს 10.000 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და რენტაბელობა, რის საფუძველზეც საწარმომ ქვეყანას 926 ათასი მანეთი მოგება მისცა.

მახარაძელმა ტრანსპორტელებმა წლეულს პირველი დეკადის დავალება 103 პროცენტით შეასრულეს. ავტოტრანსპორტელებს ყოველდღიურად 30-40 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაქვთ, რაც ბევრად მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ვანი. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აქედანვე იყარიან საფუძველს ახალი წლის ბარაქიან მოსავალს. ვანის შეგოსტნეობა-მერქანეობის საბჭოთა მეურნეობას უხვმოსავლიანი ზვრებიც აქვს. მევენახეები გონივრულად იყენებენ ყოველ ხელსაყრელ დროიან დღეს და ადრე დილიდან გვიან ღამემდე თავს დასტრიალებენ ვაზს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მწკრივთა შორის მიწის დამუშავება, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა.

თავი გამოიჩინეს მოწინავე მექანიზატორებმა შ. კორძაძემ, რ. მელაშვილმა და სხვებმა. მევენახეები მოუღლელად შრომობენ წლევანდელი უხვი მოსავლის მისაღებად.

ᲥᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲛᲝᲕᲐᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ

წლეულს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის წინაშე პასუხსაგები ამოცანებია დასახული. მათ დიდი სამუშაოები უნდა შეასრულონ მისი რეკონსტრუქციისათვის ისე, რომ არ შეანელონ წარმოების ტემპი, განაახლონ, გაათანადროულონ, სრულყონ სარეზერვუარო მეურნეობის დანადგარების ელექტროქვესადგურების, წყალმომარაგების ტექნოლოგიური სქემები. ამ ამოცანების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი პირობაა დისციპლინის განმტკიცება. ამიტომაც ბათუმელმა ნავთობგადამამუშავებლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას: „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით“ და თბილისელ ავიამშენებელთა თაოსნობას: „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში“.

საამქროებში გამართულ კრებებზე განიხილეს და მიიღეს საწარმოს მუშაკთა შრომითი კოდექსი.

— არ მახსოვს, რომ დისციპლინის დამრღვევი ჩვენთან ბინის მიღების რიგის ბოლოში გადაიყვანონთ, ხოლო შრომაში წარჩინებულს ბინა ურიგოდ მიეღოს, ეს კი მნიშვნელოვანი სტიმულია, — თქვა დანადგარის ოპერატორთა ბრიგადირმა გ. ნიკოგოსოვმა. — ამიტომაც მოიწონეს ჩვენს კოლექტივში ქარხნის შრომითი კოდექსის დებულება. იგი ქარხნის კოლექტივს მოუწოდებს შემდგომშიც განამტკიცოს შრომის დისციპლინა, ყველგან შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობის ვითარება.

საერთო-საქართველო კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

პარტიის საოლქო კომიტეტმა განიხილა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის დამატებითი ღონისძიებების საკითხი და ეს ობიექტი მეთერთმეტე ხუთწლედის დაჩქარებულ მშენებლობად გამოაცხადა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა აჭარის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც ნათქვამია: ჩვენი მიზანია მხლიანად აღმოვფხვრათ გაცდენები და დაგვიანებები, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ სამუშაო დროის ყოველი წუთი, მინიმუმამდე შევამცეროთ კადრების დენადობა, შეურიგებლად ვებრძოლოთ დისციპლინის ყოველ დარღვევას.

ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲗᲘ

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №6 საერთოსამშენებლო ტრესტის სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის კოლექტივი, რომელიც მკაცრად იცავს ტექნოლოგიურ დისციპლინას და მაქსიმალურად იყენებს სამუშაო დროს, რეკონსტრუქციის პირობებში არა მარტო არ აძცირებს პროდუქციის წარმოების ტემპს, არამედ პირიქით, ზრდის ნაკადური ხაზების სიმძლავრეებს. იანვარში საწარმოს მშრომელები ყოველდღიურად ცელის დავალებათა გადაჭარბებით სამი ოთხი ათასი მანეთის რკინაბეტონის კონსტრუქციებს აწარმოებენ.

ერთიანი, შემჭიდროებული გრაფიკით შიდინარეობს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მოქმედებს ტექნოლოგიური ნაკადი. საწარმოს კოლექტივი, რომელიც კომბინატის რეკონსტრუქციას ძირითადად საკუთარი ძალებით ახორციელებს, იყენებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ყველა რეზერვს, რათა დაეხმაროს მშენებლებს დაძაბული გეგმების შესრულებაში. ფ. პაპავრაძიდის მშენებელთა ბრიგადა ისეთი ვარაუდით მუშაობს, რომ გაისად ვადამდე დაამთავროს კომბინატის რეკონსტრუქცია. საწარმო გამოუშვებს ერთ-ნახევარჯერ მეტ პროდუქციას. წარმოების მუშაკები უკვე დღეს ამუშავებენ სხვადასხვა პროდუქციის დამზადების მეცნიერულად დასაბუთებულ ჩქაროსნულ ტექნოლოგიას. მეგბეტონეთა, მეარმატურეთა, მეფანკარეთა ბრიგადები ამ პროგრესული მეთოდით წლის დამლევამდე ორი მილიონი მანეთის ლითონკონსტრუქციებს გამოუშვებენ.

(საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **სტრუევი** გაათავისუფლა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გრიგოლ ივანეს ძე **ვაჩნაძეს** დანიშნა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1437“

1983 წლის 20 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1437“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲧᲐᲜᲐᲨᲘ

საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

ᲪᲮᲘᲚᲕᲐᲚᲘ. ბელორუსიის საავტომობილო ქარხანაში კონვეიერზე გადაიყვანეს 75 და 110 ტონა ტვირთამწეობის საკარიერო ავტოთვითსაცლელების აწყობა. ეს 2-2,5-ჯერ გაზრდის სამთომომპოვებელი დარგების განვითარებისათვის საჭირო საავტომობილო ტექნიკის გამოშვებას. ახლა სულ უფრო უმჯობესდება წარმოების მთელი ორგანიზაცია.

სურათზე: ბელაზის ახალი კონვეიერი.

ვ. ალეშკევიჩის ფოტო.



ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს შუა აზიის პირობებში მზის ენერგიის გამოყენების კომპლექსური სისტემა. მეცნიერები მუშაობენ შუა აზიაში პირველი მზის ელექტროსადგურის შესაქმნელად.

ნახევრად გამტარი გარდამქმნელების ტექნოლოგიის ლაბორატორიაში იქმნება ელექტროენერგიად მზის ენერგიის დიდეფექტიანი ფოტოგარდამქმნელები.

სურათზე: ინჟინრები ა. ხ. კომილოვი და გ. ა. ამრიეევი მორიგი ექსპერიმენტისათვის ამზადებენ დანადგარს.

ვ. კაზანცევის ფოტო.



ᲘᲕᲐᲜᲝ-ᲤᲠᲐᲜᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ოლქი. ამუშავდა ხიეკსპორტად გასაგზავნი ბუნებრივი გაზის მოსამზადებელი დანადგარი. ამ გიგანტურ სამრეწველო ობიექტს 20 პეტაჯული უკავია. აქ ტენისა და კონდენსატისაგან გაწმენდავენ მიღებულ გაზს და „ძმობის“ გაზსადენით საზღვარგარეთ გაუშვებენ.

დოლინსკის გაზგადასამუშავებელ ქარხანაში მიღებულ კონდენსატს თხევად საბალონე გაზად გადაქცევენ.

სურათზე: ბუნებრივი გაზის მოსამზადებელი დანადგარის საერთო ხედი.

ვ. მიგბოვიჩის ფოტო.



ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ სსრ. ნურეკის ჰიდროელექტროსადგურმა დაახლოებით 59 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა და მისი წარმოება სწრაფი ტემპით მატულობს. „ნურეკჰესმშენის“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმა. აქ ორჯერ გადაალახეს იმ სამუშაოთა მოცულობას, რომლებიც დაკავშირებულია ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის ნურეკის ელექტროსადგურის მოსამზადებლად, რათა ჩაბარონ სახელმწიფო კომისიას. ჰიდროელექტროსადგურისა და ქალაქ ნურეკის მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის 40 ეროვნების წარმომადგენლები მუშაობდნენ. აქ იშვა „მუშური ესტაფეტა“, რომელსაც ბევრმა საწარმომ დაუჭირა მხარი. სადგურის ენერგიას იღებს შუა აზიის გაერთიანებული ენერგოსისტემა და უზრუნველყოფს სამხრეთ ტაჯიკეთის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ობიექტებს — იავანის ელექტროტექნიკური და ტაჯიკეთის ალუმინის ქარხნების რიტმულ მუშაობას. ნურეკის ზღვის წყალს სოფლის მეურნეობისათვის იყენებენ არა მარტო ტაჯიკეთში, არამედ უზბეკეთსა და თურქმენეთშიც.

ახლა ნურეკის სადგურის აგების დროს შეძენილ გამოცდილებას წარმატებით იყენებენ ვახშის კიდევ ორი ობიექტის — ბაიპაზისა და როგუნის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

სურათზე: ნურეკის ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის საერთო ხედი.

რ. პოზდნიაკოვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ!

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ზუგდიდის მშრომელები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, მიზნად ისახავენ ყოველი ღონისძიება მოახმარონ 1983 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიზედვით და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

არსებული შინაგანი რეზერვების ამოქმედების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონის ამაღლებისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად 28 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა და დამატებით გამოუშვან 1,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 100 ტონა ქაღალდი, 100 ტონა მუყაო, 225 ათასი მანეთის ფაიფურის ნაწარმი, 200 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, 2 ათასი დეკალტრი ღვინო, 80 ტონა ბაიხარა ჩაი, 50 ტონა აგური ჩაი, 200 ტონა პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, გადიდონ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, დამატებით 2 სახეობის პროდუქციის მიინიჭონ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი და სხვა.

გამომშვებელი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საკითხებს, შეამცირონ უმიზეზოდ შრომის დანაკარგები, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებით ფართოდ გამალონ ბრძოლა მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის და დაზოგონ 1.100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 500 ტონა ცემენტი, 250 ტონა პირობითი საწვავი.

წარმოებაში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაზოგონ 150 ათასი მანეთი.

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ხუთწლედის მესამე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით შეასრულონ 300 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებით შეამცირონ დაუთმავრებელი მშენებლობის მოცულობა. ტექნიკური აღჭურვილობის, მექანიზმების ზღვრული დატვირთვის, მუშაობის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვით უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა 1,2 პროცენტით, გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, ასამოქმედებელი ობიექტების 75 პროცენტი ჩაბარონ „ყარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით. გასწორონ მუშაობა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული იჯარის დასანერგავად, სისტემატურად იზრუნონ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. შინაგანი რეზერვების გამოვლენით დაზოგონ 200 ტონა ცემენტი, 250 კუბური მეტრი ხე-ტყე, 100 ტონა ლითონი.

ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ მუშაკებმა ტვირთბრუნვის გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის, მგზავრბრუნვისა — 28 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 8 ათასი ტონა ტვირთი, მიიღონ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, პარკის გამოყენების კოეფიციენტი აამაღლონ 0,1 პროცენტით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რკინიგზის ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს, შეამცირონ მოცდენები ნორმის ფარგლებში. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სწორი ხარჯვის კონტროლის გაძლიერებით დაზოგონ 20 ტონა პირობითი საწვავი.

ᲕᲐᲭᲠᲝᲕᲘᲡᲐ და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საქონლებრუნვის წლიური გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მიაყიდონ 200 ათასი მანეთის საქონელი, მიმოქცევის ხარჯების ეკონომიით მიიღონ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებმა სახელმწიფო გეგმები შეასრულონ 27 დეკემბრისათვის, მოსახლეობას დამატებით გაუწიონ 30 ათასი მანეთის მომსახურება, დანერგონ მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვის გზით მიიღონ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ᲐᲠᲐᲑᲚᲝᲜ სამედიცინო დაწესებულებათა მომსახურების კულტურის დონე. ფართოდ დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის დონის ამაღლებას. საწოლთა რაოდენობა გაზარდონ 4 ერთეულით, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ცვლაში მიიღონ და მოემსახურონ 1200 ავადმყოფს, კვალიფიკაცია აუმაღლონ 50 ექიმს და საშუალო მედპერსონალს.

ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲜ ქმედითი ღონისძიებანი სკოლების, სკოლამდელთა, სკოლისგარეშე და საბავშვო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით. კაპიტალურად შეაკეთონ სკოლები და სკოლამდელთა დაწესებულებები, რასაც მოხმარდება 80 ათასი მანეთი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გაზაფგრძლივებული ჯგუფების მუშაობას, ცხელი კერძებით მოსწავლეთა უზრუნველყოფას.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ აამაღლონ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მშრომელთა და მოსახლეობის კულტურულ-მასობრივი მომსახურების დონე. გააუმჯობესონ თემატური გამოფენების მინაარსი და თვალსაჩინო აგიტაცია, მოაწყონ ლექციო-მოხსენებები, საუბრები, თემატური, ლიტერატურულ-მუსიკალური, პოეზიის, ინტერნაციონალური მეგობრობის, დასვენების საღამოები, მიზნობრივი შეხვედრები, კითხველთა კონფერენციები, დისპუტები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით მაღალ დონეზე დაიყენონ მშრომელთა აქტიური დასვენების ორგანიზაცია, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახლმმართველობასთან, ცენტრალურ სპორტულ ბაზებთან შექმნან ჯანმრთელობის კლუბები, გაზრდონ სექციებისა და ჯგუფების რიცხვი, შექმნან ყველა საჭირო პირობა მათში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმისათვის.

გაუმჯობესონ სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიაღწიონ სპორტული ბაზების მაქსიმალურ დატვირთვას, შექმნან საჭირო პირობები „მმშ“ კომპლექსის ნორმატივების მომზადება-ჩაბარებისათვის.

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ — ᲛᲔᲪᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ დრონი გავლენას ვერ ახდენენ წველადობაზე დმანისის რაიონის ბაშკიჩეთის სახელმწიფო ჯიშთსაშენში. იგი აქ ყველაზე დიდია. ამგვარად საესებით გაამართლა იმან, რომ ოთხი თვის წინ ორი ბრიგადა გადაიყვანეს მეცხოველეთა შრომის ნატურით ანაზღაურების აკორდულ-პრემიულ სისტემაზე.

რა არის ამ სისტემის არსი? ყოველ ბრიგადას, თითოეულზე კი გაბაროვნებულია ძროხების განსაზღვრული ჯგუფი, გამოიყოფა საკვების ლიმიტი, ზუსტდება რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. ბრიგადის ყოველი წევრი იღებს მტკიცე ხელფასს — თვეში 150 მანეთს. მაგრამ გეგმის გადაჭარბებით დამზადებული პროდუქციიდან სამოცდაათი პროცენტი ბრიგადას ნატურალური ანაზღაურების სახით ეძლევა. ბრიგადის წევრებს შორის იგი ნაწილდება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის შესაბამისად, ბრიგადის წევრებს შეუძლიათ დაიტოვონ რძე, მაგრამ ისინი ამჯობინებენ ჩაბარონ იგი ადგილობრივ ყველ-კარაქის ქარხანას. საწარმო სახელშეკრულებო საწყისებზე ამ რძისაგან ამზადებს ყველსა და კარაქს, რისთვისაც იტოვებს რძის გარკვეულ წილს.

როგორც ოთხი თვის შედეგებმა ცხადყო, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალ ფორმაზე გადაყვანილი ბრიგადები წინანდელი რაოდენობის საკვებით იღებენ ერთი-სამი ტონით მეტ რძეს.

— შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ასეთი ფორმა, — თქვა პირველი ბრიგადის ბრიგადირმა კ. აბმედოვმა, — ჩვენი მეკარტოფილეებისაგან გადმოვიღეთ. მართალია, დაგვჭირდა რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა იგი დარგის სპეციფიკის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ სიახლე აღვილად როდი დაინერგა, იყვნენ მოწინააღმდეგეებიც და სკეპტიკოსებიც.

— მივეჩვიე იმას, რომ თავად ვაგებდი პასუხს ჩემი მუშაობისათვის, — თქვა გამოცდილმა მწველავმა ელვირა გასანოვამ. — აქ კი კოლექტივია. მაგრამ პირველ თვეშივე დავრწმუნდი, რომ მართალი არ ვიყავი. თითოეული ცდილობს, რაც შეიძლება უკეთ და მეტი იმუშაოს, რათა არ ჩამორჩეს ამხანაგებს, არ დაიღალტოს ისინი. ჩვენი ანაზღაურება ხომ ახლა მთელი ბრიგადის შრომის საბოლოო შედეგებზეა დამოკიდებული. უფრო მკაცრი გახდა დისციპლინა, განმტკიცდა ურთიერთდახმარება. ვთქვათ, ავად გახდა ვინმე, მაშინ მთელი ბრიგადა ასრულებს მის სამუშაოს.

სიახლის დანერგვის შედეგებზე გვესაუბრა ბაშკიჩეთის ჯიშთსაშენის დირექტორი ტ. არჩვაძე:

— შეკეზები პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს. გარდა იმისა, რომ ამ ბრიგადებში იღებენ რძის უფრო მეტ და გარანტირებულ რაოდენობას, აქ შეწყდა გაცდენები, სამუშაოზე დაგვიანებანი, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის სხვა დარღვევები. ადამიანები უფრო მომჭირნედ ხარჯავენ საკვებს, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა.

— შრომის ნატურით ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემის შემოღების უპირატესობა თვალსაჩინოა, — განმარტავს ექსპერიმენტის მომდინარეობის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ე. ხრისტოსენკო, — ეს კარგად ჩანს ჩვენი მეკარტოფილეების — ამ სისტემის დანერგვის პიონერების მუშაობის მაგალითით. კარგი გამოდგა იგი აგრეთვე საკვებწარმოებაში. აი ახლა კი სიახლე სარძევე მეცხოველეობაშიც ინერგება. ბაშკიჩეთის ჯიშთსაშენის ზემოხსენებულმა ორმა ბრიგადამ რძის დამზადების მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, რამაც წარმატება მოუტანა მთელ საწარმოს. წინათ ჩამორჩენილი, ახლა მოწინავეთა რიგებშია.

რა შედეგი მოპყვა ამ და სხვა სიახლეთა დანერგვას მთლიანად რაიონში? თუ წინა ხუთწლედში რაიონი ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობის მრავალ დარგში, უკვე შარშან მთელი რიგი პოზიციების მიხედვით საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს მიაღწია. ერთ საფურაქე ძროხაზე რძის წველადობამ მიაღწია წელიწადში 2 ათას კილოგრამს. გვჯერა, რომ უახლოეს წლებში ეს მაჩვენებელი ერთნახევარ-ორჯერ გაიზრდება. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას აგრეთვე შრომის ანაზღაურების ახალმა სისტემამ.

რ. ახპატელოვი,
(საქინფორმის კორ.).

„ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲗᲘᲒᲝᲒᲘ“ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

მთავრდება ჭარელის რაიონის სოფელ საოლაშენიდან 19 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის მეორე ხაზის გაყვანა ქალაქ ცხინვალამდე.

ავტონომიური ოლქის გაზიფიკაციის ქსელის გაფართოების პერსპექტივების შესახებ საფუძვლიანი სჯა-ბაასი იყო საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში გამართულ თათბირზე. აღინიშნა, რომ ახალი ხაზის მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ გაზიფიცირებული იქნება ყველა რაიონული ცენტრი, მაღაროელთა დაბა კვაისი და ახლომდებარე სოფლები.

ავტონომიური ოლქის გაზიფიკაცია ხელს შეუწყობს მთიანი მხარის ბუნების, ტყეების დაცვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე და რესპუბლიკისა და ოლქის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები გაეცნენ ახალი გაზსადენის მშენებლობის მიმდინარეობას.

ოლქის გაზიფიკაციის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომელიც გათვალისწინებულია სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებით.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ Ქ. ᲒᲝᲠᲡ

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გამლილი სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალაქ გორის შრომითი კოლექტივებს მიერ მოპოვებული დიდი წარმატებანი აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული მუშაობის, ყველა საწარმოო კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად გორის მრეწველობამ გეგმას გადაჭარბებით გამოუშვა 7 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეკეგმითი პროდუქცია, რაც ერთთიორად აღემატება საგეგმო დავალებასა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

გორის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ქალაქისათვის სოციალისტური ჯილდოს „გადაცემისაქ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მაღორვალედ მიულოცა ქალაქის მშრომელებს ღირსშესანიშნავი შრომითი გამარჯვება, უსურვა ახალი წარმატებანი მეთერთმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შესრულებაში.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. მაყაშვილის მოხსენებაში, ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ვენერალური დირექტორის ვ. ხინჩაგაშვილის, პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივნის ვ. აბრამაშვილის, საკონსერვო მრეწველობის აგროსამრეწველო გაერთიანების მუშის გ. საკაშვილისა და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ მიღწეული წარმატებანი ვერ მიჩქმალავს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოფხვრას მთელი მეცადინეობა უნდა მოახმაროს. ყველა დონეზე დისციპლინის გაძლიერება მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებათა რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება. (საქინფორმი).

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ Ქ. ᲒᲝᲠᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ზუგდიდის მშრომელები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, მიზნად ისახავენ ყოველი ღონისძიება მოახმარონ 1983 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიზედვით და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

არსებული შინაგანი რეზერვების ამოქმედების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონის ამაღლებისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად 28 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა და დამატებით გამოუშვან 1,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 100 ტონა ქაღალდი, 100 ტონა მუყაო, 225 ათასი მანეთის ფაიფურის ნაწარმი, 200 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, 2 ათასი დეკალტრი ღვინო, 80 ტონა ბაიხარა ჩაი, 50 ტონა აგური ჩაი, 200 ტონა პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, გადიდონ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, დამატებით 2 სახეობის პროდუქციის მიინიჭონ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი და სხვა.

გამომშვებელი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საკითხებს, შეამცირონ უმიზეზოდ შრომის დანაკარგები, მომჭირნეობის რეჟი

პარტიული ცხოვრება: ინიციატივა, დისციპლინა, ქცევა

განვეწყოთ საქმისათვის

ხშირად ხდება ასე: მაღალი ტრიბუნიდან მოსმენილი საინტერესო წინადადება, მნიშვნელოვანი აზრი საფიქრელად და განსასჯელად განგვიწყობს. ამ დროს ერთხელ კიდევ გადახედავ წარსულს, განსალიზებ მოპოვებულ შედეგებს, რას მიაღწიე, რა ვერ გააკეთე და, რაც მთავარია, მთელი სიგრძე-სიგანით წარმოიდგენ სამომავლო სამოქმედოს.

ასე იყო ამჯერადაც, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლას გავეცანი. აი, რა დამახსომდა განსაკუთრებით: „ეტყობა, ჯერ კიდევ მოქმედებს ინერციის ძალა, ჯერ კიდევ ვერ გადასჩეულიან მიჩვეულს. ხოლო ზოგ-ზოგებმა, ალბათ, უბრალოდ არ იციან, როგორ მოქიდონ ხელი საქმეს“.

ვინმეს არ ეგონოს მე ქრონიკული გასაჭირი მალაპარაკებდეს. ჩვენმა საწარმომ — შორაპნის ელექტროელემენტების ქარხანამ შარშანდელი სამეურნეო წლის დაკალება 23 დეკემბრისათვის შეასრულა. დარჩენილ დღეებში დამატებით კიდევ 225 ათასი მანეთის პროდუქცია გამოვუშვით. არც სხვა მაჩვენებლები გვაქვს ურიგო. პროდუქციის თვითღირებულება 123 ათასი მანეთით შემცირდა. დაზოგილია 350 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დიდძალი შავი და ფერადი ლითონი, ქაღალდი, პარაფინი და სხვა დამხმარე მასალები.

ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი კარგად გვაქვს, მაგრამ თუ იმ მოთხოვნილებებს გავითვალისწინებთ, რომლებსაც დღეს გვიყენებენ, დავინახავთ, რომ მიღწეულით დამაყოფილება, უბრალოდ, არ შეიძლება. საწარმოში ჯერ კიდევ ბევრია ხელშემშლელი მიზეზები. უწინარეს ყოვლისა, ხშირია შეფერხებები, მომწოდებელი ორგანიზაციების მიზეზით უამრავი საყვედური გვაქვს რკინიგზის ტრანსპორტის მიმართ, რომლის მოუქნელი მუშაობის გამო შარშან 400 კონტეინერი დაგვაკლდა. იშვიათი როდია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ხოლო ჩვენი ქარხნის კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი სიტუაცია სრულიად შეუწყნარებელია.

რეკონსტრუქციის გეგმით აქ უნდა აეშენებინათ აგლომერატის ახალი კორპუსი, რის შემდეგაც საწარმოო ფართობი 2.400 კვადრატული მეტრით გაიზრდებოდა. მისი დამთავრება ნავარაუდევი იყო 1981 წლისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა პროდუქციის წარმოების გადიდება 4 მილიონ 700 ათასი მანეთით. ამ დიდ საქმეს დღემდე არ დაადგა საშველი. უფრო მეტიც — ჯერ-ჯერობით სამშენებლო სამუშაოებიც არ დამთავრებულა, არც დასამონტაჟებელი მანქანა-დანადგარებია მიღებული სრული კომპლექტის მიხედვით. ერთი წელი უკვე დაიკარგა, ეს მილიონობით მანეთის ფართო მოხმარების პროდუქცია იყო, რომელზეც ესოდენ დიდი მოთხოვნაა. ეს ამბავი კი სრულიადაც არ აწუხებთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს. სწორედ ასეთ მოქმედებაზე იტყვიან, ვერ გადაეჩვევნენ მიჩვეულსო.

ქარხნის კომუნისტებს ეს საკითხი ყურადღებიდან არ გამორჩენიათ. იგი ხშირი მსჯელობის საგანი იყო, მაგრამ მიღებული დადგენილებანი დღემდე შეუსრულებელი რჩება.

ჩვენი დიდი პრობლემაა მომიჯნავე ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობა. ისინი ყოველთვის აფერხებენ ჩვენი საწარმოს საქმიანობას. დეკემბრის დამკვრელური დღეებშიც ქარხანა განიცდიდა ზოგიერთი სახის მასალების დეფიციტს. სულ კი გასულ წელს რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ 300 ტონა ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგი დაგვაკლო. ნოვომოსკოსკოდან ვერ მივიღეთ 114 ტონა კალციუმის ქლორიტი, კიროვის ოლქიდან — 50 ტონა გრაფიტი. საქმეს ისიც ართულებს, რომ ცენტრალიზებული წესით მისაღები მასალების 70 პროცენტს ავტომანქანებით ვეზიდებით, რაც საწვავის დიდად გადახარჯვას იწვევს, უფრო მეტი მფლანგველობა და უყაირათობა წარმოუდგენელია.

გულახდილად, კომუნისტური პრინციპულობით უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენთან საკმაოდ არის სუბიექტური ხელშემშლელი მიზეზებიც. მართალია, პარტიული კომიტეტის სხდომებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ხშირად ვმსჯელობდით შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, მაგრამ ამ მხრივ სტაბილური მდგომარეობა მაინც არა გვაქვს. აბა, რა უნდა დავარქვათ იმას, რომ შარშან საწარმოში უმიზეზოდ გაცდა 1.464 კაცდღე. ეს ნისიძეებების განხორციელება. მოელი კოლექტივისათვის სამარცხვინოა, რომ შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის სამუშაოდან დაგითხოვეთ მუშები მ. ზიბზიბაძე, მ. კელენჯრიძე, ნ. ჩიბურდანიძე, გ. მამალახლისი, ლ. ნასრაძე და სხვები.

არც ის არის დასამალი, რომ უდისციპლინობაში შემჩნეული არიან კომუნისტებიც. აი თუნდაც კომუნისტი ზეინკლის ტ. მიქაბერიძის მაგალითი ავიღოთ. იგი საერთოდ ცუდად როდი ხასიათდება, მაგრამ ბასული წლის 11 დეკემბერს სამუშაოზე გამოუცხადებლობით საფრთხეში ჩააყენა პოლუსების უბნის მთელი საქმიანობა. ამის შესახებ მკაცრად ვიმსჯელეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე და გავაფრთხილეთ, თუ მსგავსი შემთხვევა განმეორდა, იგი მკაცრად დაისჯება. უფრო ადრე კი საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევისათვის ვიმსჯელეთ კომუნისტების თ. კახეტელს, გ. კვირკველიას, ვ. ღონღადის, ზ. კვანტარაშვილს, ა. მაღლაკელიძის, მ. კვიტენაძის და ე. სულიმაშვილის შესახებ. ერთი სიტყვით, შექმნილი გვაქვს ნაშდვილი შეჭიქნილობის ატმოსფერო. მომავალში კიდევ უფრო პრინციპულნი გავხდებით. ამას საქმე მოითხოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ასორტიმენტის გაფართოებას და სასურსათო პრობლემის გადაჭრის საკითხებს. ამ მხრივ სერიოზულ მუშაობას ვეწევით. ნარჩენების გამოყენებით ავითვისეთ და უკვე მივაწოდეთ მომხმარებელს დეკორატიული და საოჯახო სანთლები. ხოლო წელს განზრახული გვაქვს თუთიის თეთრის წარმოების დაწყება. ამ გზით დამატებით 200 ათასი მანეთის პროდუქციას ვაწარმოებთ.

ცალკე უნდა ვთქვათ სასურსათო პროგრამის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანად გგვაკრიტიკა გაზეთმა „კომუნისტმა“, და საქმეც ადგილიდან დაიძრა. მეფრინველეობის ფერმისათვის გაბკუთვნილ შენობებში უკვე დაიწყეთ მოწყობილობის დამონტაჟება. სულ მალე საწარმოს მუშებს დიეტური ხორცით უზრუნველვყოფთ.

როდესაც ჩვენს მომავალ საქმიანობაზე ვფიქრობ, მახსენდება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „განვეწყოთ საქმისათვის, და არა მალალფარდოვანი სიტყვებისათვის — აი, რა გვმართებს დღეს საბჭოსგან, რომ კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი და მძლავრი „კავშირი“. ეს არის სწორედ ჩვენი მომავალი მუშაობის ორიენტირი.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის თითოეული შრომითი კოლექტივის, ყოველი პარტორგანიზაციის როლი და ამოცანები კიდევ უფრო ნათლად ვამოკვეთა და დააკონკრეტა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელთა ინიციატივამ დევიზით „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა —თითოეულისაგან, ყველას და ყველაფერში!“

ახლახან გამართულ ამ საწარმოს კოლექტივის კრებაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა, მისი დებულებები ჩვენი ქარხნის კოლექტივის, პარტიული კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ეულლდამით განვიხილავთ, ვსწავლობთ მას და მის მოთხოვნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით ვსახავთ ჩვენი მუშაობის გარდაქმნის გზებსა და საშუალებებს, მომავლის ამოცანებს. ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ყველგან და ყველაფერში მტკიცე, შეგნებული დისციპლინა მართლაც მთელი ჩვენი კოლექტივის ერთმანეთად მაორგანიზებელი ფაქტორი გახდეს.

ს. არევაძე,
შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ინფორმაციიელებენ სასურსათო პროგრამას

რესპუბლიკის მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის მუშაკები მიმდინარე წლის პირველივე დღეებიდან განსაკუთრებული ენერგიით და მონდომებით იღებენ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

კარგი შრომითი მაჩვენებლებით შეეგება ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, შუაგულ წელს. აქაური მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ განახორციელონ ქვეყნის სასურსათო პროგრამის დიდმნიშვნელოვანი პუნქტი — ყოველწლიურად გამოუშვან 20 ათასი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ავტომატარებელი. წლის დამდეგიდან მაღალნაყოფიერად შრომობენ დიზელის საამქროს მოწინავე გამმართველები (მარცხნიდან): გ. ყვანია, ი. გოგოლაძე და ჯ. გოგელაშვილი.

გულრიფშის მეცხოველეობის მექანიზებულმა საწარმომ ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველმა უპატაკა სამშობლოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-მიყიდვის შარშანდელი წლის გეგმის შესრულება. 4.400 ცენტნერის ნაცვლად რეალიზებულია თითქმის 5 ათასი ცენტნერი ხორცი. ახლა მეურნეობაში ახუქებენ 1.800 ხულზე მეტ ღორსა და თითქმის ორი ათას სულ მოზარდიულს. აქ 600-მდე მეწველი ძროხაა. სურათზე თქვენ ხედავთ წარმოების ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკს, ოპერატორ ლ. მიკიანს.

გ. გერსამიას და ი. პოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი

ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი კარგად გვაქვს, მაგრამ თუ იმ მოთხოვნილებებს გავითვალისწინებთ, რომლებსაც დღეს გვიყენებენ, დავინახავთ, რომ მიღწეულით დამაყოფილება, უბრალოდ, არ შეიძლება. საწარმოში ჯერ კიდევ ბევრია ხელშემშლელი მიზეზები. უწინარეს ყოვლისა, ხშირია შეფერხებები, მომწოდებელი ორგანიზაციების მიზეზით უამრავი საყვედური გვაქვს რკინიგზის ტრანსპორტის მიმართ, რომლის მოუქნელი მუშაობის გამო შარშან 400 კონტეინერი დაგვაკლდა. იშვიათი როდია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ხოლო ჩვენი ქარხნის კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი სიტუაცია სრულიად შეუწყნარებელია.

ეკონომიკური მაჩვენებლებით

**ბოლო ორ-სამ წელიწადში ჩვენ გაზეთ „ჩვენ“-ში ბევრ ფელეტონს, ფელეტონ-ანალიზს, ფელეტონ-ინტერვიუს, ფელეტონ-ანკეტას, ფელეტონ-ანალიზ-ინტერვიუ-ანკეტას ... ბეჭდავ ... ბეჭდავ ... ბეჭდავ

21 იანვარი

უსტლეთუი

ფაქტები
მოვლენები
საკლესი
იუწყება

● ბოლივია

მთავრობა გადადგა

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გადადგა ბოლივიის მინისტრთა კაბინეტი. მინისტრებმა ამით საშუალება მისცეს პრეზიდენტ ერნან სილეს სუასოს შეადგინოს ახალი კაბინეტი ან თავისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გადაადგილებანი წინანდელ მთავრობაში. მთავრობის ახლანდელი კრიზისი დაიწყო ბოლივიის ხელისუფლების საათვალში სამოქალაქო მთავრობის ჩადგომიდან სამი თვის შემდეგ. მანამდე 18 წლის განმავლობაში ქვეყანას სამხედრო რეჟიმი მართავდა.

კრიზისის მიზეზი ის გახდა, რომ მემარცხენე რევოლუციური მოძრაობის პარტიამ გადაწყვიტა მთავრობის შემადგენლობიდან გამოიყვანა თავისი ექვსი მინისტრი. პრეზიდენტი გადადგომას დათანხმდა.

● ჩინეთი

საპასუხო გადაწყვეტილება

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წლეულს ახალი კონტრაქტების დადება ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბამბის, ქიმიური ბოჭკოს და სოიის მარცვლის იმპორტის თაობაზე. სინჰუას სააგენტოს მიერ გავრცელებულ საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს წამომადგენლის ოფიციალურ განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ჩინეთი შეამცირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ეს ღონისძიება, როგორც აქაური ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, ამერიკის ადმინისტრაციის იმ ამასწინანდელი გადაწყვეტილების პასუხია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთიდან საფეიერო ნაწარმის იმპორტზე ცალმხრივი წესით შეზღუდვების დაწესებას. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩინური ქსოვილების ექსპორტის მოცულობის გაზრდის შესახებ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების ოთხი რაუნდი უშედეგოდ დამთავრდა.

● ინდოეთი

ბოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

ათენი. პროფკავშირული გაერთიანებების მოწოდებით საყოველთაო ოთხსაათიან გაფიცვა მოაწყვეს საბერძნეთის მშრომელებმა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ მეწარმეთა ანტისოციალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც მიმართავენ მახობრივ დათხოვნებს და ინფლაციით ეკონომიკური სიძნელეები დაძლიონ მშრომელი ხალხის ხარჯზე.

გაფიცვის შედეგად პრაქტიკულად მთელი ცხოვრება ჩაკვდა საბერძნეთის დედაქალაქში. მუშაობა შეწყვიტა ქალაქის და რკინიგზის ტრანსპორტმა, გაუქმდა ყველა რეისი დედაქალაქის აეროპორტში.

ბონი. ტელ.-ავიოვის განზრახვა — განაგრძოს ოკუპირებული სამხრეთ ლიბანის მთელ რიგ რაიონებში რადარული სადგურების შექმნა, ისრაელის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზამირმა. ისრაელის რადიოსალოცაცო დანაყალარები, განაცხადა მან, „ალბათ მრავალი წლის მანძილზე დარჩება ლიბანში“. ქმნიან რა სამხედრო ობიექტებს ლიბანის მიწა-წყალზე, ხაზგასმით აღნიშნავენ ამასთან დაკავშირებით კომენტატორები, ისრაელი ინტერვენტები ფაქტობრივად მიზნად ისახავენ დიდი ხნით „დარჩნენ“ ამ სუვერენულ სახელმწიფოში, გადაკეცონ იგი ახლო აღმოსავლეთში ახალი აგრესიული მოქმედების პლაცდარმად.

მეხიკო. მექსიკის პრეზიდენტმა მ. დე ლა მადრიდმა გამოაცხადა, რომ ახორციელებს საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის დახმარების უზრუნველყოფა და უმუშევრობის დონის ზრდის დაუშვებლობა, რაც ახლა 8 პროცენტს შეადგენს.

ამ ღონისძიებათა კომპლექსი შედგება 4 პროგრამისაგან, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს წელიწადში 500-დან 700 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.

ტოკიო. ეკონომიკური დეპრესია, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ღრმავდება, იწვევს იაპონიის საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირებას. ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ აქ გამოქვეყნებული მონაცემებით, იაპონიის ექსპორტის მოცულობა 1982 წელს 8,7 პროცენტით შემცირდა. ამ ხნის მანძილზე თითქმის 8 პროცენტით შემცირდა საიმპორტო გარიგებანი.

მუშაობის მგზნებარე მოწოდება

ხოშიმინი. ხოშიმინში მუშაობა დაამთავრა ადამიანის ორგანიზმსა და გარემოზე ქიმიური ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგების შესწავლის საკითხისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა. სიმპოზიუმზე გაისმა მგზნებარე მოწოდება მშვიდობისათვის, მოწოდება იმისათვის, რომ დაჩქარდეს ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება. სიმპოზიუმში „მოწაწილეობდა 21 ქვეყნის 140-ზე მეტი მეცნიერი მედიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, ეკოლოგიურ საკითხთა სპეციალისტი.

პლენარულ სხდომებსა და სექციებში წარმოდგენილი იყო ათობით მოხსენება და ინფორმაცია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ქიმიური ომისა და მისი შედეგების შესახებ.

საერთაშორისო სიმპოზიუმმა მუშაობა დაამთავრა

შემაჯამებელ დოკუმენტში, რომელიც ერთსულოვნად მიღებულ სიმპოზიუმის მონაწილეებმა, აღნიშნულია, რომ ეგრეთ წოდებული „რენჩ ჰენდის“ ოპერაცია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების არმია ახორციელებდა ვიეტნამის სამხრეთ პროვინციებში 1961-1972 წლებში, წარმოადგენდა გამოუცხადებელ ქიმიურ ომს, რომელიც მასშტაბებით, ხანგრძლივობითა და შედეგებით უპრეცედენტო იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ქიმიური ნივთიერებების, მათ შორის ისეთი მაღალტოქსიკური შხამის მასირებულ გამოყენებას, როგორიცაა დიოქსინი, კატასტროფული, უმრავლეს შემთხვევაში შეუქცევადი შედეგები მოჰყვა ადამიანების ჯანმრთელობისა და ვიეტნამის გარემოსათვის. „ქიმიურ ექსპერიმენტებს“ ემსხვერპლნენ არა მარტო ისინი, ვინც უშუალოდ განიცადა დეფოლიანტებისა და ჰერბიციდების ზემოქმედება, არამედ მათი ბავშვებიც. ტოქსიკურმა ნივთიერებებმა გამოიწვია დარღვევები ორგანიზმის გენეტიკურ სტრუქტურაში, მემკვიდრეობითი ანომალიები. ახლა ვიეტნამში ათასობით ადამიანი იტანჯება სიმსივნოვანი დაავადებებით, აღნიშნულია დოკუმენტში.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ქვეყნის მეცნიერებს ერთად იბრძოლონ ქიმიური ომის დამღუპველი შედეგების დაძლევისათვის. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უაღრესად საჭიროა ვიეტნამელი ხალხისათვის უანგარო და ყოველმხრივი დახმარების გაწევა.

ᲐᲨᲨ: კომპარტიის დიდი გამარჯვება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა გადახედოს ნიუ-იორკის ფედერალური საапელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც აღიარა არჩევნების ფედერალური კომისიის არაკონსტიტუციური მოთხოვნა, „რომლის თანახმად უნდა დაასახელონ ის ადამიანთა სახელები, რომლებსაც ფინანსური სახსრები შეაქვთ კომპარტიის საარჩევნო ფონდში.

ამერიკის ხელისუფალნი ხანგრძლივი დროის მანძილზე იყენებდნენ ამ დებულებას, რათა მაქსიმალურად გაერთულებინათ კომპარტიის მონაწილეობა არჩევნებში, აშინებდნენ და შანტაჟს უწყობდნენ მის მომხრე ამომრჩევლებს. ამ მიზნით ცნობებს იმ ამერიკელებზე, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევდნენ კომუნისტებს, გადასცემდნენ გამოძიების ფედერალურ ბიუროს, რომელსაც მათი სახელები „შავ სიაში“ შეჰქონდა და ზოგჯერ პირდაპირ სდევნიდა კიდეც. მაგრამ კომპარტიის შეუპოვარმა და მტკიცე ბრძოლამ, აგრეთვე ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის მიერ მისი სამართლიანი მოთხოვნების მხარდაჭერამ გამოიწვია ამ უსამართლო მოთხოვნათა გაუქმება.

1981 წლის სექტემბერში ქ. ნიუ-იორკის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია ვალდებული არ არის იძულებითი წესით ხელისუფლებას აცნობოს იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც ფინანსური სახსრები შეაქვთ კომუნისტი კანდიდატების საარჩევნო ფონდში, ხოლო შარშან მაისში ეს გადაწყვეტილება დაადასტურა ფედერალურმა საапელაციო სასამართლომ.

ᲥᲐᲯᲣ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲚᲘᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ

მთლიანად ჩაიფუშა „რეიგანომიკა“

ვაშინგტონი. ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ რეიგანის ყოფნის ვადის პირველ ნახევარს ახასიათებდა ადმინისტრაციის მიერ ფართოდ რეკლამირებული „ამერიკის ეკონომიკური გაჯანსაღების პროგრამის“ საბოლოო ჩაფუშვა, აღნიშნავენ ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი — ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, წერს ყოველკვირეული „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, 1981 წლის პირველ კვარტალში, როცა რეიგანი მოვიდა თეთრ სახლში, 7,9 პროცენტით გაიზარდა. 1982 წლის პირველ კვარტალში კი 2,2 პროცენტით შემცირდა, „რეიგანომიკის“ მოქმედების ორი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოება 8,7 პროცენტით შემცირდა.

ახლანდელი ადმინისტრაციის მმართველობის ორი წლის მანძილზე წარმოების შემცირების შედეგად უმუშევრობა 44,6 პროცენტით გადიდდა და ახლა 12 მილიონზე მეტ კაცს მოიცავს.

საარჩევნო კამპანიის დროს, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რეიგანი 1983 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის შეწონასწორებას გვპირდებოდა, მაგრამ, სახელმწიფო ხარჯების დაგეგმილი შემცირების მიუხედავად — ძირითადად სოციალური პროგრამების შეკვეცის ხარჯზე — 1984 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტშიც კი გათვალისწინებულია ასტრონომიული დეფიციტი 185 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

უკვე მერამდენე დღეა, რაც ეს ადამიანები (სურათზე) რიგში დგებიან დურგალთა პროფკავშირების ნიუ-იორკის ადგილობრივ განყოფილებასთან. მათ სამუშაო სურთ, მაგრამ ამის იოტისოდენა იმედიც კი არა აქვთ.

ბოლო ოფიციალური მონაცემებით, ამერიკის უდიდეს ქალაქში უმუშევრობის დონემ 10 პროცენტს მიაღწია, ხოლო ნიუ-იორკის, ჰარლემის, სამხრეთ ბრონქსის, ბრუკლინის გეტოებში ხამუშაო არა აქვს შრომისუნარიანი მამაკაცებისა და ქალების 50 პროცენტს.

საკლესის ფოტო.



ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე

წერილ სოლდგმა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავზე. ამ ლექსში ავტორი ეხმიანება „საუბარი ფინინსპექტორთან ლექსის“ ზეგავლენას.

ბორის პასტერნაკი

შენუხებისთვის ჩვენ ბოდიში,
ფინინსპექტორო!
დაბრძანდით....
თქვენგან
ეგ პატივი
ჩვენ არ გვერგება....
მე თქვენთან ერთი
საკითხი მაქვს
დელიკატური,
ქვეყნის შრომაში
მგოსნის ადგილს
რომ შეეხება.

მე თითქოს
კერძო საკუთრება
მქონდეს ლექსებში,
ისე ურჯულოდ
ქედზე მადებთ
გადასახადებს.
როგორც ჯარიმას
ხუთასს ითხოვთ
ყოველ ექვს თვეში
და ზედ ოცდახუთს,
როცა გაკლებთ
რაღაც ქაღალდებს.

ჩემი შრომაც, ხომ
ჰგავს სხვა შრომის
გარემოებას...
გარჯა და ჯაფა
აწერია
ამ ჩემს ალამზეც.
ერთი გასინჯეთ,
რა ხარჯი აქვს
ჩემს წარმოებას,
რა თავის ტეხაც
მე მჭირდება
ჩემს მასალაზე.

თქვენ, რა თქმა უნდა,
კარგად იცნობთ
„რითმის“ მოვლენას:
ჩვენ, როცა სტრიქონს
ბოლოს ვუწერთ
სიტყვას „ფიცარსა“,
ერთი სტრიქონიც —
და მის შემდეგ
შეუცდომელად
უნდა დავნეროთ,
მაგალითად,
ლამცადრიცა — ცა.

თამასუქია ჩვენი რითმა
მაგ თქვენს ენაზე;
უნდა განაღდდეს,
რასაც დასწერ,
ვეღარ ამოშლი,
და ჩვენც დავეძებთ
წვრილ-წვრილ ბრუნვებს,
როგორც შენაძენს
ჩვენი მგოსნური
გრამატიკის
ბნელ სალაროში.

იწყებ სტრიქონში
სიტყვის ჩასმას,
თავს არ იცოდე;
ხედავ არ ჩადის,
ხედავ გატყდა
სიტყვა ცხოველი...

ფინინსპექტორო, მოქალაქევ!
ნეტავ იცოდე
რა ძვირად უღირს
ნამდვილ პოეტს
სიტყვა ყოველი.

რითმა კი ჩვენთვის
დინამიტით სავსე კასრია,
ხოლო სტრიქონი
ძაფი ნალმის,
ძაფი ბისკფორდის
იწვის სტრიქონი
და ქალაქიც
ნალმმა ასწია;
გაქრა ქალაქი,
როგორც გვწადდა,
როგორც ვფიქრობდით.

მაგრამ ამ რითმას
სად შეიძენ,
რა საფასურით,
რითმას, რომელიც
ნიშანში ცემს
ახალ კაშკაშით?
რითმა უხმარი
დღეს სულ ხუთი
თუა დაცული
ვენესუელის ყრუ ბინდ-ბუნდში,
დასაკარგავში.

ყანყრატოდან,
როგორც ჯამბაზი;
სხვასაც პირიდან
ამოაძრობს სტრიქონს
მხეცივით.

მე ამ ლირიკულ
ცვედანებზე
არც მსურს მსჯელობა,
რომ სხვის სტრიქონებს
მთლად ითვისებს
ცრუ და მკვეხარა...
აი, ქურდობა,
აი, შენი გამფლანგველობა
რამაც მთლიანად
დღეს მოიცვა
ჩვენი ქვეყანა.

ო, ეს ლექსები
ღრიალში და
ტაშის გრიალში
დღეს რომ ვითომცდა
ამაღლებულ
ცაში მიჰქრიან —
ზედნადებ ხარჯად
დაგვანვევა ისტორიაში
ორ თუ სამ პოეტს, —
ვისაც ნაღდი
რამ შეგვიქმნია.

ხელი მათბობს,
ვისი თვალ-ყური?
მაგრე რა, იქნებ
მე თვითონ ვარ
ხალხის თავკაცი
და ამავე დროს
მე თვითონ ვარ
ხალხის მსახური?

კლასი დღეს ჩვენი
სიტყვით სუნთქავს,
სიტყვით ღაღადებს,
ჩვენც ჩვენი კალმით
მტკიცედ ვდგავართ
ქვეყნის მთა-ბართან.
სულის მანქანა
ზედ აცვდება
საწერ ქაღალდებს —
ის კი ღრიალებს:
— ეს პოეტი
არქივს ჩაბარდა.

კი. სულ მაკლდება
სიყვარული, გამბედაობა,
სულ უფრო მძლავრობს
დრო,
პოეტის შუბლს შემსხვრეული;
სულ უფრო მეტად
საშინელი არის სხვაობა;

მიმაქვს, ბროდვეის ნათურების
ვალი თან მიმაქვს;
ცაო ბაღდათის,
ცაო, შენით
ვარ გულდამწვარი;
იაპონიის ალუბლებო,
ჩვენო არმიავ,
ვალში ვარ თქვენთან,
ვისი ხოტბაც
ვერ მოვასწარი.

მკითხავთ —
რას მაძლევს
მე რითმებზე
თავგადაკვდომა,
რიტმის ძიება, ასე უნდო,
ასე სარისკო?
პოეტის სიტყვა
თქვენთვის არის
მკვდრეთით აღდგომა
და უკვდავება,
მოქალაქე კანცელარისტო.

ასწლების შემდეგ
უნდ ამ ლექსის
ერთი სტრიქონიც...
გადაშლი წიგნს და
აღდგებიან საუკუნენი!
და გაცოცხლდება
ეს დღეც,
თავის ფინინსპექტორით,
სასწაულების ელვარებით,
მელნის სურნელით.

დღევანდელი დღის
ერთხელ დათმეთ
ყველა წესები,
ენციკლოპედია გზას გაგიხსნით
უკვდავებაში;
იანგარიშეთ მოქმედება
ჩემი ლექსების
და სამას წელზე
გადაზომეთ
ჩემი ხელფასი.

თუმცა პოეტი
მარტო ხსოვნის
და უკვდავების,
მარტო მომავლის
ხმად არ დადის
მშობელ მხარეში —
არა. მას დღესაც
ხელთ უპყრია
თავის ტაეპი
როგორც ლოზუნგი,
როგორც ხიშტი,
როგორც ალერსი.

ფინინსპექტორო,
ხუთს გადვიხდი,
გინდათ დამკალით,
ჩამოაცილეთ ეგ ნულები
მაგ თქვენს ბეგარებს;
ღარიბ მუშებთან
და გლეხებთან
ვარ წილნაყარი,
ჩემი ადგილიც
ულარიბეს
ხალხთან მდებარებს.

ხოლო თუ ფიქრობთ —
ჩემი საქმე,
ჩემი ვარამი
სხვისი სიტყვების ტრიალია,
სხვისი ჰანგების —
ამხანაგებო,
აგერ ჩემი
საწერ-კალამი
და თვითონ წერეთ,
თქვენის ხელით,
თქვენის განგებით.

თეატრი

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

20 იანვარს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა აჩვენა აზერბაიჯანელი დრამატურგის რუსტამ იბრაგიმბეკოვის მიერ სპეციალურად რუსთაველის თეატრის კოლექტივისათვის დაწერილი პიესის „დაკრძალვა კალიფორნიაში“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რობერტ სტურუამ.

... უკვე, როგორც წესი, რობერტ სტურუას ყოველი ახალი ნამუშევრისაგან ალმოჩრნენს ელის მაყურებელი. ასეთი მოლოდინი კანონზომიერი გახდა იმიტომ, რომ ყოველი მისი დადგმა მოვლენაა კულტურულ ცხოვრებაში, ეს არის ხელოვანი, რომელიც ენერგიულად იჭრება დიდი ვნებებისა და პრობლემების სფეროში, ესწრაფვის ღრმა სოციალურ განზოგადებებს. სპექტაკლიც „დაკრძალვა კალიფორნიაში“ ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

„დაკრძალვა კალიფორნიაში“ — ეს არის იგივის ჟანრით გადაწყვეტილი პოლიტიკური პამფლეტი, რომლის მოქმედება ვითარდება ოქროს კანიონში — კალიფორნიელი ოქროსმაძიებლების ქალაქში, სადაც სიცრუე და თვითნებობა გამეფებულა. რ. სტურუამ სპექტაკლი დადგა მისთვის ჩვეული სინთეზური თეატრის ფორმით, გააშიშვლა ბუნება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისა.

სპექტაკლში . მკაფიოა სცენური სახეები შექმნეს საქართველოს სახალხო არტისტებმა ე. მაღალაშვილმა, გ. საღარაძემ, ჯ. ლაღანიძემ, ნ. ფაჩუაშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა დ. პაპუაშვილმა.

პრემიერას წილად ხვდა დიდი წარმატება, რომელიც სამართლიანად გაიზიარეს მხატვრმა ნ. ნინუამ და კომპოზიტორმა ბ. კვერნაძემ.

სპექტაკლს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შ. სარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. რ. საჯაია და ა. ბ. საყვარელიძე. (საინფორმი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ბერლინი. აქ გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

ა. ა. გრომიკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სახელით ძმურად მიესალმა ე. ჰონეკერს. ე. ჰონეკერმა გულთბადი მადლობა გადაუხადა მას და თავის მხრივ სთხოვა ძმურად მისალმებოდა ი. ვ. ანდროპოვს.

ე. ჰონეკერსა და ა. ა. გრომიკოს შორის გაიმართა საუბარი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე.

საუბარმა ძმური მეგობრობისა და შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ე. ჰონეკერმა ა. ა. გრომიკოს გაუმართა საუზმე, რომელზეც მხარეებმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ბერლინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მოსკოვს გაემგზავრა. იგი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მოწვევით.

აეროპორტში ა. ა. გრომიკოს გააცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. აქსენმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

* * *

მოსკოვი. აეროდრომზე ა. ა. გრომიკოს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ДИДЕБА САМХАРС ГЛЕХИСАС...

I სურათი: ბაზრის ალაყაფთან ხალხი ირეოდა. ყურს ჭრიდა სხვადასხვა ჯურის შეძახილები, გრიასში ლანდღვაც ისმოდა მიგადაშიგ.

უეცრად შემაზარზენად დასჩიყვლა გაზ-24-ის „მუსიკალურმა“ სიგნალმა და ჩანთადაბერილი დიასახლისები ზედ კედელზე მირეკა. მძღოლი ცქვიტად, ხალისიანად გადმოვიდა მანქანიდან, თვალი ჰკიდა მანქანასა და კედელს შორის დარჩენილ ინტერვალს, ფეხით მოარულთ თუ ეყოფათო, და მეორე მხრიდან გაუღო კარი გვერდით მჯდომ მამაკაცს. ის რომ კაცი იყო, ეს მერე დადგინდა, როდესაც სალონიდან ხვნეშითა და ვაი-ვაგლახით გადმოგორდა, თორემ გარეიდან მარტო მუეცი მოეჩანდა, საბერველივით რომ ადი-ჩადიოდა რიტმულად...

მძღოლს ვეებერთელა პირდაბჩენილი ჩანთა ეჭირა ხელში და ხან მარჯვნიდან შემოუბრენდა აჩოჩქენებულ ხალხში ძლივძლივობით მიმავალ „ხაზეინს“, ხან — მარცხნიდან.

— რა ღოს? — ამოიხროტინა „ხაზეინმა“, ასე, შვიდკილოგრამიან გოჯს, შნოიანად გატრუსულ-გასვლიპინებულს. კოტიტა თითები ყურებში ჩაავლო და ასწია.

— შვიდი უნდა მაგას! — თითებით უჩვენა გამყიდველმა.

— არფერ დუკლებ? — იკითხა მას შემდეგ.გოჯს რომ ჩანთის ხახაში გადაუძახა და პასუხს არც დალოდებია, ისე მიუთვალა შვიდი თუმანი.

ახლა ქათმებისაკენ აიღო გეზი. ძაძამოსილ, ალეუულ დედაბერს მშვენიერი ვარიები ეწყო წინ და მუშტარს ეპატიჟებოდა.

— რა მგაცე შვიდგვეში? — ამოიქშტინა საბერველმა.

— თუმანნაკლებ არც ერთი არ იქნება!...

მხრობაცა და ცოლ-შვილიც, არაფერი გაუგია.

* * *

ჩემი თაობისათვის ამ ოჯახს კონკრეტული ზისამართი აქვს და გვარ-სახელი: მელანო, ყრმა აკაკი, ამბაკო და მამამისი. ისიც ითქვას ბარემ, რომ ყველა იმდროინდელი სოფელი ემსგავსებოდა როგორღაც სავანეს, ყოველ ჩვენგანში ცოცხლობდა თითქოს ცოტ-ცოტა აკაკიც, ამბაკოც, ამირანიც და ნაზიბროლაც... და არავითარ შემთხვევაში — ბაგრატი!.. ყოველი ჩვენგანი ცხოვრობდა იმ ქოხში, რომელშიც ძიძა-შვილის სანახავად ერთი წუთით შესულ როსტომ წერეთლის ქალბატონს, სოლომონ პირველის შვილიშვილს ეკატერინე აბაშიძე-წერეთლისას, თვალები აუწვა კვამლმა....

დღეს კვამლი კი არა, ერთმა წვეთმა წყალმა რომ გამოქონოს მიწში უმალვე ვგანგაშობთ და აურზაურს ვტეხთ, თბომეურნეობაში ვრეკავთ შეშფოთებულნი. ნაფლოქვარში ჩაგუბებული წყალი კი არა, ქლორი რომ გამოჰყვება ახლადგაღებული ონკანიდან, სული გვიწუხს, როდის დაიწმენდსო... ჩვენს პირშოთ ნარ-ეკლებით რა მოუპეიდავს ფეხსაგულებს, აკვნიდანვე რომ არ გაუფრთიათ ფეხთ საბოები თუ მოკასინები! საადრეო მსლოს ხე როგორ დაუფხაჭნდაუსისხლიანებთ მუცლის კანს, თავის დღეში რომ არ ასულან ხეზე!.. უმალ კედელზე ავლენ და ხეზე — ვერა! ბებერები გაუჩნდებათ ცხელ ასფალტზე ბოტასებით მოარულთ, მაშ რა იქნება!...

— მაისის ცვრით დანამული კონდარზე რომ ფეხშიშველა ირბენ, აი ბებერას უებარი წამალი! თბილი წყლის მაგიერ თოვლით რომ დაისრეს ცხვირ-პირს, აი სურდოს ხკაცი! თორემ უგლეხკაცოდ ვეღარც მუშას გაესაძღისება, ვეღარც ინტელიგენტს, ვეღარც საერთოდ ქალაქს და, ბოლოს და ბოლოს, ვეღარც მთელ საქართველოს!...

* * *

ორმოცდაათიან წლებში ჩვენს გლეხს საოცრად გაეხსნა ხელ-ფეხი იოლი ცხოვრებისაკენ. ამას რამდენმე ფაქტორი განაპირობებდა, რომელთა შორის სუბიექტურს უკანასკნელი ადგილი როდი ეკავა — ვისაც როგორ სურს, ისე აკეთოს, ვისაც სადაც სურს — იქ ასაღოს! და აი, გლეხი ნელინელ განუდგა საუკუნეობით შეფუშვებულ თავისსავე სტერეოტიპს, ნელინელ ჩამოიშორა და განიძარცვა ყოველივე იმისაგან, რაითაც იგი ქართველი გლეხი გახლდათ და არა, ვთქვათ, ჰოლანდიელი.

თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთი ჩემი ახლო ნათესავი თავის მშობლიურ სოფელს ანუ ჩვენს სოფელს სტუმრად ეწვია. კაცი რომ მშობლიურ სოფელს სტუმრად ეწვევა ან თვითონ არის დამნაშავე, ან...

მამიდაზეიმა დაუძახა ვახშმად, თავმჯდომარე და ბუღალტერი ჰყოლოდა მიპატიჟებული, აქეთ ჩვენც შეეუერთდით და ჰორისჭამეც გავაჩაღეთ. მართალია, სწავლა-განათლება არ აკლია, და იქნებ ამიტომაც, ნამუანი ცუდი ზნე სჭირს იმ ჩემს ნათესავს — თუ რაიმე არ მოეწონება, სრულიად დაუფარავად, ყოველგვარი მიკბულ-მოკიბულის გარეშე ამბობს ხოლმე და სულაც არ ვარაუდობს იმას, რაც „შეიძლება ამას მოჰყვეს. ეტყობა, არ მოუვიდა ღვინო ყუათში და უსაყვედურა მასპინძელს: ცხონებულმა მამაშენმა სახლ-კარი და ჭურ-მარანი სანაქებო დაგიტოვა, ცოლიც გამრჯე და ხელმადლიანი გყავს შინ, თვითონაც ხომ ხელოსანი კაცი ხარ და ამ შაქრიანი ღვინის ცოდვილს რატომ არ შეეშვებიო!..

ხომ არ გგონიათ, ფიცი-მტკიცე დაიწყო, გეჩვენება, თორემ სუფთა ციცქის წვეხიაო! გაღიმებულმა მეიხახეთ თვალი ჩაუკრა და მიუგო: სუფთა ღვინო თუ გინდოდა, ამასა და ამას უნდა სტუმრებოდიო და დაუსახელა მეზობლის კაცი, რომელიც მთელ რაიონშია ცხობილი სიღარიბით და... ბევრი შვილით!.. შვიდი შვილის მარჩენალ ქვრივს მდიდრულად ცხოვრება სულაც არ მოეთხოვება და ამანაც გულმწყრალად უთხრა: არქონობის გამო კაცის დაცინეა რა საკადრისიაო!.. მასპინძელმა შემწვარი ბატკნის კანჭი ცივად დადო თეფშზე და მთელი სერიოზულობით დასძინა: მართალი გითხარი, ჩემო ძმაო, მაგას შემოდგომით შაქრის ფული არა აქვს ხოლმე და იძულებულია სუფთა ციცქის წვენი ჩასახასო. შემაძრწუნებელიც გამოდგა ის ინფორმაცია მისთვის და მრავალსიმეტყველიც — პატიოსნებასთან ღარიბი კაცი უფროა წილნაყარი! თუმცა ერთიც არის — როგორი სათქმელია შვიდი შვილის პატრონზე „ღარიბი“!

მე თუ მკითხავთ, ღარიბი მასპინძელზე უფრო ითქმის (ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად დღეს სწორედ მისი ნირთა და მორალით ცხოვრობს), რადგან მამაპაპური ცაცხვის საწნახლის მაგიერ ამოეკეთებინებინ ოთხკუთხა ჭურჭელში ესერეფ ქარვისფერ მტევნებს, ისარნის ნაცლად ალუმინის ქვაბს უდგამენ საწნახლის ღარიდან ჩამოდ გადმოჩქეფარე ტკბილს, ქვევრების ამოოცხვილისას, სპილენძის ორხელის მაგიერ, გაუქმებულ და გადაგდებულ მანქანის ენგინად ფარს იყენებენ, ხოლო სპილენძისავე არდაგანის წილ — არაფერს! როგორ თუ არაფერს? — ბუნებრივად იკითხავს ვინმე. ჩვეულებრივად, არაფერს, რადგან არდაგანი ქვევრიდან დაშვახებული ჭაჭის ამოსაღებად ჰქონდა ჩვენს წინაპარს მომარჯვებული და ახლა აბა რომელი ქალბატონი ეკიდა ფეხს ქვევრში მარტო ჭაჭას! ჭაჭის მოუცდენლობის გამო ვერ ამზადებენ, ეს ოცდაათი წელიწადია, ნაქაჩს ანუ სახარჯო ღვინოს, რომელსაც ლიმონათივით გაზი ჰქონდა, მაგრამ უფრო გემრიელი და, რაც მთავარია, ბავშვებისათვის კი მარგებელია გახლდათ...

მთელი ზემო იმერეთი რომ მოიაროთ, კორომს ომვიათად წაგყოდებით. არადა, როგორი შნო და ლაზათი ჰქონდა კორომზე დადგმულ ჩალის ზვინს (სხვათა შორის, კორომს „საბძელსაც“ ეძახდნენ ჩვენში)! ხოლო კორომში, თივით, ბზით, ფუჩეჩითა და ქურჩით გამოტენილ კორომში თუ ბავშვს ჩაგიდებ, ეს ბავშვი ალბათ ბედნიერი სახის იერით!..

გიზო ზარნაძე.

ОРИ СУРАТИ КОМЕНТАРЕБИТА ДА ЧАНАРТЕБИТ

— სისხლ წოვთ რა ხალხს, სისხლ წოვთ! — რატომღაც ყველაზე უსისხლხორცო ადგილას, ფაშვზე დაისვა ხელი სქელუამ და ფული უხვად ჩაუპუპა ხელში დედაბერს. მერე ყველაურს მიაპყრო მზერა.

...მანქანა ყრუ ზუზუნით აუყვა ვარაზის ხეს. უკანა სალონი და საბარგული გამოტენილია ნაირ-ნაირი სურსათით; ეს რაუული ლორი ვარო, ეს ცხვრის დუმაო, ეს ღორის სუკებიო. სიდანღაც შავი ხიზილალას ლუჩი კოლოფიც აქუეტდა თვალებს, გრაგნილად დახვეული თართი რომ ეხატა ზედ. თხილი, მიწის თხილი, ვაშლი, კომში, შუშა კატრი, ტორხუნა... არც ღორს ჩამოთვდა!

უეცრად სქელუამ გაშლილი ხელის მტევანი იტაცა შუბლში და ამოიხროტინა:

— ტყლაპტყემალ რო დაგვავიწყდა!

— როგორ, სიმონიჩ?! — სვლას უკლო მძღოლმა.

— ტყემალი თუ არ ისაკქენით ტყლაპის, ისე ამ გოჯს რა შემაჭმევს!...

უკან გაბრუნდნენ. გზად ისიც გაიხსენა ნადღი, პიტნა, ნიორი რომ დავიწყნოდათ. არადა, რა გემო უნდა ჩაეტნიათ უპიტნო ნადღისათვის ან შემწვარი გოჯი თუ ბატკანი ვითარ ეთქვლიფათ დანაყილი ნიერის გარეშე!

II სურათი: თავის კარ-მიდამოს შემოუარა გლეხკაცმა. თავისთვის რაღაც სიმღერას ღიღინებს... ეს ორი დღეა, ერთი ფიქრი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევს: „რას გადაეკადა ის ქალაქელი ბიჭი ჩემსას! რავა ტვინი ამოუღო ჩიჩინით — სოფელში რა ყრია, აქ ცხოვრება ქაჯობაო. სულიც რომ მიგვიიოდეს კაცს, ვერც „ოკრას“ ინახავ და ვერც. ზეთისხილსაო. „ოკრას“ ქვირითს ეტყვის ნასწორკვეთას ხალხი, მარა ეს ზეთისხილი რა ჯანდაბაა ნეტავ?! აქ ცხოვრობს რა გემო აქვსო, — თოხის ტ[illegible] დაეკუდა და ჭიანს გახედა, — [illegible] ბაღით დაბერილ და ნიგვზის [illegible] ლებში საგანგებოდ [illegible] პაწაწინა ვეფახი თავზებს რომ მარილს მოაფცქვეტს, ნაღვერ[illegible]ში ამოუთუთქავს და თავის ფხებიანა შეახრამუნებს, ბაშინ გიგდებს რა გემოც აქვს სოფელში გატარებულ დღეებს... ოღონდ, ჯერ ბატონო, ფეხისგულები კოლობიებზე სირბილით უნდა დაიბეგვოს და ნარეკლებით ნალივით მოიჭედოს!... ჯერ საადრეო მსხალზე უნდა შეისწროს ალმასხანა მემინდემ და, იქიდან ფაცხაფუცხით ჩამოცოცებულს მუცლის კანი დაფხაჭნილი უნდა ჰქონდეს, სისხლგამოყონილი!... ოღონდ, სანამ ქლეკვით, ქინძითა და ნიგვზით შეკმაზულ მინდვრის მხალსა და თონეში ამოკვირიჩხინებულ ცხელცხელ მჭადს ცოლიკაურიან ჭინჭილას დააყოლებდეს, ჯერ ნაფლოქვარში ჩაგუბებულ წვიმის წყალს უნდა დაეწაფოს რიკ-ტაფელის თამაშით გასავთებული!“..

ამ ფიქრებში გლეხკაცს ისე უჩუმრად წამოეპარა მაღალი სამრობაცა და ცოლ-შვილიც, არაფერი გაუგია.

* * *

ROMDESAC წერილში ვინმეს ან რაიმეს აკეკი ან ამაგეკ, იმედი უნდა იქონიო, რომ უხილავ ოპონენტთა მთელი დასი დაკომპლექტდება უმალვე და უსიტყვოდ, გულში გეკამათებიან, გეაქიქრებიან, გედავებიან. ახლაც ვიცი, მავანი გაიფიქრებს: დღეს, ბატონო, აღარც სოფელია ისეთი, თქვენ რომ გახსოვთო, გადასხვაფერდა და გადაგვარდაო. კი, შესაძლოა, ისეთი აღარ იყოს, კი არადა, ნამდვილად აღარ არის ისეთი, 30-40 წლის წინათ რომ გახლდათ, მაგრამ გადაგვარებით, ვფიქრობთ, არ გადაგვარებულა. „ისეთი აღარაას“ ეშველება როგორმე, გადაგვარებულს — ვეღარ!.. უკვე გადაგვარებული რომ გვეგულებოდეს ჩვენი ბავშვობის ნავსაყუდარი, კალამსაც აღარ შეეაწუხებდით.

იდგა გადაგვარების გზაზე? რასაკვირველია იდგა! რომ დააყენა ისევ სასიცოცხლო გზას? ბევრმა რამ, მათ შორის კერძოდ ჩვენი სახელოვანი მწერლობის მხარდაჭერამ, შემაშფოთებლად ამოხეთქილმა პოეტის დროულმა ეშვმაც — „ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი!“, ან სხვა პოეტის ძნელად ასახდენმა, ნალოლიავებმა ნატვრამაც — „სულო მფარველო ამ პატარა კუთხეულო ქვეყნის, ისეთ საქართველოს მომასწარ კიდევ, ბაზარში იდგეს ქართველი გლეხი და ნამდვილ ღვინოს ჰყიდდეს!“. (სასოწარკვეთას ნუ მივეცემით შარშანდელი ნასეტყვარი, გაპარტახებული ზვრებს გამო! წელს შესაძლოა, ორმაგად აუნაზღაურდეს ჩვენს გლეხკაცს შრომა!). გნებავთ, რაკის თვალწარმტაცი ხიბის შემაძრწუნებელმა, მაგრამ იმედგარეულმა დატირებამაც, მაგრამ, რაც მთავარია, და ეს ლოგიკურზე ლოგიკურია, სოფელს პარტიამ, ნელისუფლებამ მიხედა...

ქემშარიტად გულ[illegible] ონ უნდა იყოს დღეს კაცი, ან ძ[illegible]ით უნდა აყრიდდეს სმენის [illegible] ... ბრმავებდეს თვალისჩინს, რომ კერ ინგრძნოს [illegible] ვერ დაინახოს ის შშობლიური ზრუნვა და ამაგი, რომელსაც საქართველოს კომპარტია იჩენს ამ უპირველესი და უსისხლხორცესი პრობლ[illegible] მიმართ! დიახ, უპირველესის და უსისხლხორცესის, რადგან სოფელი იყო და კვლავაც უნდა იქნეს ერის მარჩენალი. და არა მარტო მარჩენალი, ერის ეთიკური ნორმების სალაროც, მისი ზნეკეთილობის სამჭედლო და სამაბარატორო! ამიტომაც გვმართებს ყოველ ჩვენგანს უდიდესი ძალისხმევა, ღვაწლი და ოფლის ღვრა, საქმიანი და არ მხოლოდ სიტყვიერი მცდელობა, რათა სამოლოდ შემობრუნდეს ქართველი გლეხი, სოფლის განსაგმირავად შემართული მახვილი დროულად დაუშვას და ის აკეთოს, რისთვისაც ჰქვია მას ეგზომ ღვთაებრივი, კეთილხმოვანი და ნამუსიანი სახელი — გლეხობის, დოკტორს დ. ლ. ფურცელაძეს „ვახტანგ VI კანონებისა“ ქართული და რუსული გამოცემების მომზადებისთვის (თბილისი, 1980-1981 წლები).

მეორე პრემია — საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს ვ. მ. გურგენიძეს დოკუმენტურ ფილმი „რკინის ნაკადი“. 11.15 — „დილის ფოსტა“. 11.45 — რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი ვ. ვოლოვინი. 12.15 — „აბა, ქალიშვილებო!“ 14.15 — გორკის ტელევიზიის სტუდიის პროგრამა. 15.05 — ტელენარკვევი. 15.35 — მუსიკალური კითხვა. 16.05 — „დოკუმენტური ეკრანი“. 16.55 — საერთაშორისო მიმოხილვა. 17.10 — „ჯანმრთელობა. 17.55 — კონცერტი. 20.10 — ადამიანი — დედამიწის ბატონ-პატრონი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — „კალათბურთი. ვაჟები. მოსკოვის „დინამო“ — „ჟალგირისი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ჯადოქრები“ პირველი და მეორე სერია.

22 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — კონცერტი. 10.15 — სპორტლოტო. 10,25 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმები. 11.05 — თქვენთვის, მშობლებო! 11.35 — უსაფრთხო მოძრაობა. 12.05 — ვლ. მაიაკოვსკი „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. პოემის ფრაგმენტები. 12.50 — გამარჯვებულნი. სტალინგრადის ბრძოლის 40 წლისთავისათვის. 14.25 — ფილმ-კონცერტი. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — მხატვრული ტელეფილმი. 16.05 — ა. პეტროვი — „სამყაროს შექმნა“. 16.30 — ცხოველთა სამყაროში. 17.30 — პოლიტიკური მიმოხილველის ვ. ბ. ბეკეტოვის საუბარი. 18.00 — „პოკეი. „სპარტაკი“ — ცსკა. 20.15 — მულტფილმი. 20.30, 22,35 — საღამო „ოსტანკინოს“ საკონცერტო სტუდიაში. „სიმღერა-82“. 22.00 — „ვრემია“. 24.05 — ევროპის ჩემპიონატი ციგურაობაში. ქალები. დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.30 — მხატვრული ფილმი „ჯადოქრები“. 11.15 — „ფოსტა“. 11.45 — რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი ვ. ვოლოვინი. 12.15 — „აბა, ქალიშვილებო!“ 14.15 — გორკის ტელევიზიის სტუდიის პროგრამა. 15.05 — ტელენარკვევი. 15.35 — მუსიკალური კითხვა. 16.05 — „დოკუმენტური ეკრანი“. 16.55 — საერთაშორისო მიმოხილვა. 17.10 — „ჯანმრთელობა. 17.55 — კონცერტი. 20.10 — ადამიანი — დედამიწის ბატონ-პატრონი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — კალათბურთი. ვაჟები. მოსკოვის „დინამო“ — „ჟალგირისი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ჯადოქრები“ პირველი და მეორე სერია.

22 იანვარი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. (მ.). 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „წინაპართა ნაკვალევზე“. 10.00 — „მოამბე“.10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „თვალთაი“ — სატელევიზიო ჟურნალი (გამეორებით). 11.30 — დილის გასართობი პროგრამა. 12.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.20 — „ამბავი სერენდა“ (გამეორებით). 12.55 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი. 13.40 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.45 — კონცერტი — „უკრავს რუსუდან გვასალია“. 14.35 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 15.10 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 15.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.50 — „კონოფიშა“. 16.20 — „საესტრადო პანორამა“. 17.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.10 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი“. 17.40 — „ხალხური შემოქმედება“ (წყალტუბოს რაიონის ფოლკლორი). 18.40 — გადაცემა „ეფფოლადე იყო დელეგატი“. 19.00 — კალამის სერენადა“ (გამეორებით). 12.55 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი. 13.40 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.45 — კონცერტი — „უკრავს რუსუდან გვასალია“. 14.35 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 15.10 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 15.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.50 — „კონოფიშა“. 16.20 — „საესტრადო პანორამა“. 17.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.10 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი“. 17.40 — „ხალხური შემოქმედება“ (წყალტუბოს რაიონის ფოლკლორი). 18.40 — გადაცემა „ეფფოლადე იყო დელეგატი“. 19.00 — კალამიანი კონტაქტები აქვს დამყარებული რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის მრავალ საბავშვო დაწესებულებასთან. ბიბლიოთეკა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მრავალგზის მონაწილეა და არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით. (სპ. კორ.).

ამ ბოლო ხანს საგრძნობლად ჩამოთბა. თბილისის ზოოპარკში ხალხმრავლობაა. ეს ხუროთები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო გუშინ თბილისის ზოოლოგიურ პარკში. ფირზე აღბეჭდილია პარკის მობინადრენი — 22 წლის ინდური სპილო „მურაში“, რომელიც ახლახან ჩამოიყვანეს თბილისში და ზოოპარკის ნამდვილი მშვენება გახდა; გვირგვინოსანი წეროები და კენგურუს ოჯახი; ბეჭემოტი „შალუნი“.

ს. კილაძის ფოტო.

РАС ГВЕТКУВИС ЛАМАНЧЕЛИ



როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე მუშაობს მრავალსერიანი მხატვრული ფილმის „დონ კიხოტის“ ეკრანი ზაციაზე სერვანტესის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით, მკითხველს, ბუნებრივია ინტერესებს, როგორ ცოცხლდება ლამანჩელი.

მკითხველთა ამ ცხოველი ინტერესის დასაკმაყოფილებლად სულ ახლახან მშვენიერი შემთხვევა მოგვეცა — ესპანეთიდან თბილისს დაბრუნდნენ კინორეჟისორი რ. ჩხეიძე, კინოდრამატურგი ს. ულენტი და ცენტრალური ტელევიზიის წარმომადგენელი ვ. კორკელია. ჩვენ შევხვდით რ. ჩხეიძეს და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას.

პატივცემულო რევაზ, ბუნებრივია, ესპანეთში თქვენი მოგზაურობა სწორედ „დონ კიხოტის“ გადაღებასთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ მკითხველს აინტერესებს, რა საკითხების მოგვარებას დაეთმო კონკრეტულად სერვანტესის სამშობლოში თქვენი სტუმრობა?

— ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზია ერთობლივად აწარმოებენ 9-სერიანი სატელევიზიო ფირადი მხატვრული ფილმის „დონ კიხოტის“ ეკრანიზაციას. ამყამად ესპანეთს ვეწვიეთ იმ მიზნით, რომ ესპანელი კოლეგებისათვის გვგვეცნო სცენარი და ამავე დროს მომავალი გადაღებებისთვის შეგვერჩია ნატურა. სიამოვნებით მიხდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მიერ წარდგენილია სცენარმა, რომელზეც მუშაობას დიდი დრო დასჭირდა, ესპანელთა მოწონება დაიმსახურა. ესპანელმა მწერალმა მარსიალ სუარესმა, რომელიც სცენარის თანაავტორია, დაუზუსტა დიალოგები. სცენარის მაღალმა შეფასებამ სერვანტესის სამშობლოში, სადაც „დონ კიხოტს“, დიდი ესპანელი მწერლისა და მოაზროვნის გაბრიელ უნამუნოს სიტყვებით რომ ვთქვათ, ესპანეთის „სახარებას“ უწოდებენ, გაგვახარა. ამგვარად ყველაზე დიდი საწყისი ბარიერი დაძლეულია.

შემდეგ ესპანელ კოლეგებთან ერთად გავემგზავრეთ მომავალი გადასაღები ადგილების შესარჩევად. მოვიიარეთ ბარსელონა, სადაც ნაწარმოების მიხედვით დონ კიხოტი და ქარასკო საბედისწერო ბრძოლაში ხვდებიან, მოვინახულეთ მდინარე ებრო, კასტილია, ლამანჩა, ელტრემადურის პროვინცია, რა თქმა უნდა, ვეწვიეთ სოფელ ტობოს. როგორც იცით, აქედან იყო „მშვენიერი დულსინეა“. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქალაქმა კასერესმა და მისმა მიდამოებმა. ამ ქალაქში ზუსტად არის დაცული XVI-XVII საუკუნის ქუჩები. კასერესიდან არცთუ შორს მდებარეობს ქალაქი ‘მერიდა, სადაც მშვენივრად არის შემონახული რომაული ცირკი და თეატრი. ამ არქიტექტურულ ანსამბლს უცილობლად გამოვიყენებთ სცენარით გათვალისწინებული ეპიზოდების გადასაღებად. ვესტუმრეთ აგრეთვე მზიურ ანდალუზიას, სევილიას და კორდოვას.

გარდა ამისა, ესპანეთში ჩავიტანეთ მომავალ დეკორაციათა და ინტერიერთა ესკიზები, აგრეთვე მთელი რიგი კადრები და ტიპაჟთა ჩანახატები, რომლებიც ჩვენმა მხატვრებმა გივი გიგაურძა და ზურაბ მეძძარიაშვილმა შეასრულეს. ესკიზებმა ესპანელი კინემატოგრაფისტების აღიარება დაიმსახურა. შეგახსენებთ, რომ გადამღები ჯგუფი, ძირითადად, დაკომპლექტებული იყო როგორც ქართველი, ისე ესპანელი კინემატოგრაფისტებით. ჯერჯერობით გარკვეულია მხოლოდ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის წევრები. ესენი არიან: ოპერატორი ლ. აბულეფიანი, მხატვრები — გ. გიგაური, ზ. მეძმარიაშვილი, ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი გ. ყანჩელი, მეორე რეჟისორია რ. შარაბიძე.

ზემოთ სცენარზე ჩამოვარდა სიტყვა, მაგრამ საუბარია სხვა მიმართულება მიიღო; უფრო დაწვრილებით ხომ არაფერს გვეტყოდით სცენარზე, მის ძირითად მონახაზზე?

— მინდა მკითხველებს გულახდილად ვუთხრა: მეუხეოდ ვიქენ იმისა, რომ ჩვენი ამოცანაა ვიყოთ ამ უდიდესი ქმნილების ერთგულნი, მისი კინოენაზე გადატანის დროს სცენარში მთელი რიგი ცვლილებები შევიტანეთ. მოქმედ პირად შევიყვანეთ ავტორი — სერვანტესი, დავეყრდნეთ რა თვით მწერლის სიტყვებს: „დიახ, მარტოოდენ ჩემ-თვის დაიბადა დონ კიხოტი ისევე, როგორც მისთვის გავჩნდი და დავიბადე მე. მას წილად ხვდა ემოქმედა, მე — ამეწერა. ჩვენ ორნი ერთად განუყოფელ სულსა და სხეულს შევადგენთ“.

სცენარში შევეცადეთ შეგვექმნა ავტორისა და მოქმედი გმირის — დონ კიხოტის ერთიანი სახე. გარდა ამისა, სცენარში შევიტანეთ სერვანტესის სხვა მოთხრობების, ეპიზოდებიც (სამოძღვრო ნოველებიდან). ამავე დროს საერთო კომპოზიციიდან ამოვიღეთ ზოგიერთი მომენტი, რომლებსაც რომანის გამოქვეყნების შემდეგ თვით სერვანტესიც კი ზედმეტად თვლიდა.

საერთოდ, როგორც მთლიანად ნაწარმოები, ისე მისი თითოეული გმირი იმდენად ღრმა და ფილოსოფიურია, რომ მათი როლების შემსრულებელთა შერჩევა, ალბათ, ამჯერად განსაკუთრებით გაფიქრებთ.

— ხელშეკრულების თანახმად, ფილმში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ესპანელი, ისე საბჭოთა და სხვა ქვეყნების მსახიობებიც. დონ კიხოტისა და ხანჩოს სახის შემქმნელთა არჩევა რთულია, განსაკუთრებით კი დონ კიხოტისა, მას ყველაგან და ყველა იცობს. ყველამ იცის, რომ იგი იყო მაღალი, გამხდარი, ცნობილია მისი ასაკიც, თვალების ფერიც. ამას ვერ გავიმეცვეთ. გარდა ამისა, გმირის განსახიერება მოითხოვს დიდ შინაგან ძალას, აქტიორულ ელასტიკურობას. ესპანელ მსახიობთა შორის ასეთი ჯერჯერობით ვერავინ შევარჩიეთ, დონ კიხოტის შემსრულებლის შერჩევა დიდად განსაზღვრავს მომავალი ფილმის ბედს. უახლოეს ხანში დავიწყებთ სასინჯ გადაღებებს. არ არის გამორიცხული ქართველი მსახიობების მონაწილეობაც... ერთი სიტყვითი, ვნახოთ...

როდის ფიქრობთ გადაღებების დაწყებას?

— თებერვალში ჩვენთან ჩამოვლენ ესპანეთის ტელევიზიის წარმომადგენლები. მათთან ჯერ კიდევ ბევრი შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხი გვაქვს შესათანხმებელ-დასაზუსტებელი. აპრილში კი ესპანეთში გეიმგზავრება ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის დიდი ჯგუფი, რათა ექ დაასრულოს მსახიობებისა და კოსტიუმების შერჩევა, დეკორაციების აშენება, ისეთი ვარიუდით, რომ გადაღება შემოდგომაზე დავიწყოთ.

ამას წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ იტალიელი და ესპანელი კინემატოგრაფისტები ერთობლივად იღებენ ფილმს „დონ კიხოტს“, ამაზე რას იტყოდით?

— ეს ცნობა ზუსტი არ არის. იტალიელი კინემატოგრაფისტები ფილმს კი არა, სპექტაკლს იღებენ „დონ კიხოტის“ მიხედვით. ეს არ იქნება არც სატელევიზიო ფილმი, ეს ფილმი ეკუთვნის „ქართული ფილმის“ ფონდს.